

შპს ზედაზენი 2012

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით
მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	ჯგუფი და მისი საქმიანობა.....	5
2	ჯგუფის საოპერაციო გარემო	6
3	არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები	7
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
5	ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება.....	12
6	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები.....	13
7	ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	14
8	ძირითადი საშუალებები.....	15
9	აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	16
10	მარაგები.....	16
11	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
12	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	18
13	საწესდებო კაპიტალი	18
14	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
15	ცვლილებები ფინანსური ოპერაციებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში	19
16	ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	20
17	რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას	20
18	დისტრიბუციის დანახარჯები.....	21
19	საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები.....	21
20	გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	21
21	ფინანსური რისკის მართვა	22
22	რეალური ღირებულების შეფასება	24
23	კაპიტალის მართვა	25
24	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ზედაზენი 2012 - ის მესაკუთრეს და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს ზედაზენი 2012 - ის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოს (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფის საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედგება არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ

შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ

არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსური ინფორმაციის ან ჯგუფის საქმიანობის თაობაზე, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის წარმართვის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2024 წლის 14 აგვისტო
თბილისი, საქართველო


არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსური ინფორმაციის ან ჯგუფის საქმიანობის თაობაზე, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის წარმართვის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისიუთერჰაუსკუპერს საქართველო

შპს ფრაისიუთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)



ნინო ქადაგიშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-506913)

2024 წლის 14 აგვისტო
თბილისი, საქართველო

შპს ზედაზენი 2012

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	2,164	1,825
აქტივის გამოყენების უფლება	9	457	120
არამატერიალური აქტივები		27	22
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,648	1,967
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	3,204	1,857
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	16,198	12,739
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12	871	559
სულ მოკლევადიანი აქტივები		20,273	15,155
სულ აქტივები		22,921	17,122
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	15,710	110
დაგროვილი დეფიციტი		(13,572)	(12,705)
სულ საკუთარი კაპიტალი		2,138	(12,595)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	408	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		408	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	19,825	29,205
საგადასახადო ვალდებულებები		445	358
საიჯარო ვალდებულებები	9	105	154
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		20,375	29,717
სულ ვალდებულებები		20,783	29,717
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		22,921	17,122

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 14 აგვისტო.

ლევან მეფარიშვილი
დირექტორი

გვანცა ჯავახიშვილი
ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-25 გვერდებზე, წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ზედაზენი 2012

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	2,164	1,825
აქტივის გამოყენების უფლება	9	457	120
არამატერიალური აქტივები		27	22
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,648	1,967
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	3,204	1,857
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	16,198	12,739
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	12	871	559
სულ მოკლევადიანი აქტივები		20,273	15,155
სულ აქტივები		22,921	17,122
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	15,710	110
დაგროვილი დეფიციტი		(13,572)	(12,705)
სულ საკუთარი კაპიტალი		2,138	(12,595)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	9	408	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		408	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	19,825	29,205
საგადასახადო ვალდებულებები		445	358
საიჯარო ვალდებულებები	9	105	154
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		20,375	29,717
სულ ვალდებულებები		20,783	29,717
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		22,921	17,122

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 14 აგვისტო.

ლევან ბუჭაძე
დირექტორი

გვანცა ჯავახიშვილი
ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-25 გვერდებზე, წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ზედაზენი 2012

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	16	149,212	111,443
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	17	(136,248)	(101,034)
მთლიანი მოგება		12,964	10,409
დისტრიბუციის დანახარჯები	18	(11,672)	(9,351)
საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	19	(1,147)	(1,061)
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	11	(504)	(328)
სხვა წმინდა საოპერაციო შემოსულობა/(ხარჯი)		(434)	85
საოპერაციო ზარალი		(793)	(246)
ფინანსური დანახარჯები		(74)	(39)
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(867)	(285)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(867)	(285)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული ზარალი		(867)	(285)

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-25 გვერდებზე, წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ზედაზენი 2012

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	110	(12,420)	(12,310)
წლის ზარალი	-	(285)	(285)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	110	(12,705)	(12,595)
წლის ზარალი	-	(867)	(867)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	15,600	-	15,600
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	15,710	(13,572)	2,138

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-25 გვერდებზე, წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(867)	(285)
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა და ამორტიზაცია	8	388	304
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	9	114	160
წმინდა გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე	11	504	328
ანარიცხები სხვა ვალდებულებებსა და ხარჯებზე		226	(115)
მარაგების გაუფასურება		1,935	1,250
ზარალი შემცირებული შემოსულობებით ძირითადი საშუალებების გასვლიდან		17	6
ფინანსური ხარჯები		74	39
უცხოური ვალუტის გადანაგარიშების სხვაობები		-	(5)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		2,391	1,682
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაზრდა		(4,191)	(5,382)
მარაგების ზრდა		(3,281)	(1,632)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების გაზრდა		6,220	5,537
საგადასახადო ვალდებულებების გაზრდა		88	358
საგადასახადო აქტივის შემცირება		-	226
ცვლილება საბრუნავ კაპიტალში		1,227	789
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	16	(74)	(40)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,153	749
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	8	(764)	(200)
ამონაგები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		15	20
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(749)	(180)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
იჯარის ვალდებულებების ძირი თანხის გადახდა	16	(92)	(289)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(92)	(289)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში		559	279
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს		871	559

იხილეთ მე-13 შენიშვნა იმ საინვესტიციო და ფინანსური ოპერაციების შესახებ ინფორმაციისათვის, რომელთა განხორციელებისათვის საჭირო არ იყო ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები და, შესაბამისად, არ აისახა ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

1 ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ზედაზენი 2012“-ის (შემდგომში – კომპანია) და მისი შვილობილი საწარმოს (შემდგომში – ჯგუფი) წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

კომპანია დაფუძნდა 2012 წლის თებერვალში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია - 404932258.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები იყვნენ შემდეგი ფიზიკური პირები: ნიკოლოზ გვრიტიშვილი (70%), ვასილ კობაიძე (20%) და თეიმურაზ მამაცაშვილი (10%).

2023 წლის თებერვალის თვეში შპს „ზედაზენი 2012“-ის დამფუძნებელთა სტრუქტურა შეიცვალა. ვასილ კობაიძის საკუთრებაში არსებული წილი - 20% გადაეცა ზვიად ამირიძეს. შესაბამისი პერიოდისთვის კომპანიის განახლებული დამფუძნებელთა სტრუქტურა იყო შემდეგი: ნიკოლოზი გვრიტიშვილი (70%), ზვიად ამირიძე (20%) და თეიმურაზ მამაცაშვილი (10%).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100 % წილის მფლობელი გახდა სს ქართული ლუდის კომპანია, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი იყო შპს „მიქსორი“. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეები არიან ბატონი ცეზარ ჩოჩელი და ქალბატონი იზოლდა ჩარიგოგდიშვილი 50-50%-იანი წილით.

კომპანიამ 2015 წელს დააფუძნა 100%-ით წილობრივი მონაწილეობით შვილობილი საწარმო შპს „ზედაზენი ქართლი“. 2023 და 2022 წლების საანგარიშო პერიოდებში შვილობილ საწარმოს არ განუხორციელებია ტრანზაქცია და აღნიშნულის გამო მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ წარმოებული პროდუქციის (ლუდის, უალკოჰოლო და ენერგეტიკული სასმელების) დისტრიბუცია საქართველოს მასშტაბით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ყოველწლიურად გრძელდება ერთი წლით თუ არცერთი მხარე არ გამოთქვამს სურვლის შეწყვეტის თაობაზე. კომპანია დისტრიბუციისთვის იყენებს თბილისში, კახეთში, იმერეთში, გორსა და სამეგრელოში იჯარით აღებულ ფართებს. 2023 წლის იანვრის თვიდან კომპანიის სადისტრიბუციო ქსელი გაფართოვდა და დაემატა მარნეულის რაიონი.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ქობულეთის პირველი შესახვევი, #5.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი კომპანიების გამოწვევების წინაშე დაყენებას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

COVID-19. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში COVID -19-ის გავრცელება გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. პანდემიის საპასუხოდ და COVID-19 გავრცელებისა და გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, თვითიზოლაცია, მოგზაურობის შეზღუდვები და ბიზნეს საქმიანობაზე სხვა შეზღუდვები, მათ შორის საქმიანობის შეწყვეტა. ზოგიერთი ზემოაღნიშნული შეზღუდვა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რჩება რისკი იმისა, რომ ხელისუფლებამ, ვირუსის შესაძლო ახალ ვარიანტებზე საპასუხოდ, შეიძლება დააწესოს დამატებითი შეზღუდვები 2023 წელს.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსმა ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. საერთაშორისოდ მიჩნეული როგორც ომი, შეჭრა არის ყველაზე დიდი სამხედრო თავდასხმა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ ომმა ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი გამოიწვია, მილიონობით უკრაინელი ტოვებს ქვეყანას და სახლებს. უკრაინაში ომის შედეგად, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ დააწესა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთზე. უამრავმა კომპანიამ გაიტანა თავისი ბიზნესი რუსეთიდან და ბელარუსიდან. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, მაგრამ მას უკვე მოჰყვა ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური ზარალი უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის. კომპანიას არ გააჩნია პირდაპირი დაქვემდებარება უკრაინაზე, რუსეთსა და ბელარუსზე.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამას არ ექნება შესამჩნევი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია საიმედოდ შეფასდეს სრული გავლენა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს კომპანიაზე, რადგან არსებობს გაურკვეველობა ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები

მომზადების საფუძვლები. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების კონვენციის გათვალისწინებით. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ მე-5 შენიშვნა).

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. მე-4 შენიშვნაში აღწერილია იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებული გაურკვევლობანი, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი

წარმოქმნას კომპანიის შესაძლებლობაზე, საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”).

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. სავალუტო შემოსულობები და ზარალი, დაკავშირებული ნასესხებ სახსრებთან აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - ‘ფინანსურ შემოსავალი ან დანახარჯები’. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - ‘სხვა წმინდა საოპერაციო შემოსულობა/(ზარალი)’.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის იყო შემდეგი: აშშ დოლარი (“USD”) 1 = GEL 2.6894 და ევრო (“EUR”) 1 = GEL 2.9753.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, იყო შემდეგი: USD 1 = GEL 2.7020 და EUR 1 = GEL 2.8844.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

აქტივის გამოყენების უფლება. კომპანია იჯარით იღებს სხვადასხვა საწყობებსა და ავტომობილებს. ხელშეკრულებები შეიძლება მოიცავდეს ორივეს, იჯარისა და არა-საიჯარო კომპონენტებს. კომპანია ხელშეკრულებაში საზღაურს მიაკუთვნებს საიჯარო და არა-საიჯარო კომპონენტებს მათ შესაბამის განცალკევებულ ფასზე დაყრდნობით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურება გამოითვლება წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში	
შენობა-ნაგებობები	5
ავტომობილები	10

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში	
სადისტრიბუციო აღჭურვილობა	1-5
სატრანსპორტო საშუალებები	7-10
ოფისის აღჭურვილობა	3-8

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს აჯგუფებს ამორტიზებული ღირებულებით (“AC”) კატეგორიაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL). კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები და სახელშეკრულებო აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გათვალისწინებით. კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისთვის.

კომპანია იყენებს ფასს 9-ს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად მომსახურების ვადის განმავლობაში ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფებულია საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი ეფუძნება კლიენტების გადახდების ანალიზს თითოეული ბალანსის თარიღამდე 24 თვის განმავლობაში და შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაშია მიღებული. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება იმ მაკროეკონომიკური ფაქტორების მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაციის ასახვად, რომელსაც გავლენა აქვს კლიენტის მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე. კომპანიამ ვერ აღმოაჩინა მსგავსი მაკროეკონომიკური ფაქტორები.

საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, პროგნოზირებადი ინფორმაციის აღსაწერად კორექტირებულს.

ინდივიდუალური შეფასების მიდგომა ხორციელდება ქსელური მარკეტებისთვის. ინდივიდუალური შეფასებისთვის კომპანია აფასებს მესამე მხარის ფინანსურ მდგომარეობის, მათი გადახდების ისტორიას და მათ ბაზარზე პოზიციონირებას.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ („AC“).

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე მინიმუმ თორმეტთვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანება თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს: დივიდენდების გაცემა; სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის; ხარჯები,

რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას; უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები; ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებული მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება სხვა ხარჯების მუხლში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

მარაგები. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილება (მათ შორის საწესდებო კაპიტალი, მფლობელობა, ა.შ.) ხდება მხოლოდ კომპანიის მფლობელთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ამონაგების აღიარება. კომპანია ამონაგებს გამოიმუშავებს საქართველოს რეგიონებში, კერძოდ ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და რაჭაში. კომპანია ამონაგებს გამოიმუშავებს ლუდის და გამაგრილებელი სასმელების რეალიზაციით, რომლის შესყიდვასაც ის მშობელი კომპანიის - სს ქართული ლუდის კომპანიისგან ახორციელებს. ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების, დღგ-ის და სხვა მსგავსი სავალდებულო გადახდების გარეშე.

საქონლის გაყიდვა. გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს, როცა მომხმარებელს სრული კონტროლი აქვს საქონელზე და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე, მოძველებისა და დაკარგვის რისკები მომხმარებელს გადაეცემა მომხმარებელი მიიღებს საქონელს ხელშეკრულების შესაბამისად, ან მიღების ვადა ამოიწურება ან კომპანიას ობიექტური მტკიცებულება აქვს, რომ მიღებისთვის საჭირო ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია.

ფასდათმობით გაყიდვები აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, შეფასებული ფასდათმობის გამოკლებით. ფასდათმობის შესაფასებლად გამოიყენება დაგროვილი გამოცდილება მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის მეშვეობით და ამონაგები აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მაღალია ალბათობა, რომ მნიშვნელოვანი დაბრუნება არ მოხდება. თანხის დაბრუნების ვალდებულება (რაც სავაჭრო და სხვა ვალდებულებაში აისახება) აღიარდება მოსალოდნელი მასშტაბის ფასდათმობისთვის, რაც მომხმარებლისთვის გადასახდელია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განხორციელებულ გაყიდვებთან დაკავშირებით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები (გაგრძელება)

დასაქმებულთა გასამრჯელო. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე მსჯელობას. მსჯელობა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის

საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა.

კომპანია დგას გარკვეული ფინანსური სირთულეების წინაშე, რაც აღწერილია ქვემოთ:

- კომპანიას აქვს დაგროვილი ზარალი, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 13,572 ათას ლარს (2022: 12,705 ათას ლარს);
- კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის აქვს წმინდა ზარალი 867 ათასი (2022 წმინდა ზარალი: 285 ათასი) ლარის ოდენობით.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი გარემოებებისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია მომავალ პერიოდში გაზრდის ამონაგებს, საერთო მოგების მარჟას და მნიშვნელოვნად შეამცირებს საოპერაციო ხარჯებს, კერძოდ:

- 2023 წლის ბოლოს კომპანიამ მის მთავარ კრედიტორს, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის 100% წილის მფლობელს, წარუდგინა მისი გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, გრძელვადიანი ბიუჯეტის და საპროგნოზო მონაცემების გადახედვის შემდგომ, 2023 წლის 27 დეკემბერს კრედიტორმა წერილობით დაადასტურა, რომ კომპანია არის მისი გრძელვადიანი სტრატეგიული პარტნიორი და ის თავისი ქმედებით არ შეუქმნის დამატებით რისკებს კომპანიის უწყვეტად ფუნქციონირებას. კრედიტორი წერილობით ადასტურებს, რომ იზიარებს კომპანიის მენეჯმენტის ხედვას და მიიჩნევს, რომ კომპანია შეძლებს არსებული დავალიანების დაფარვას ოპერირების გაგრძელებით და დაგეგმილი ეფექტურობის ასამაღლებელი ღონისძიებების წარმატებით განხორციელებით. ამასთან დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, 2023 წლის ბოლოს, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 15,600 ათასი ლარით დამფუძნებლის წინაშე არსებული სავაჭრო ვალდებულების შემცირების გზით.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- 2023 წელს კომპანიის საოპერაციო საქმიანობის არეალი გაფართოვდა და კომპანიამ პროდუქციის მიწოდება დაიწყო მარნეულის რეგიონის ტერიტორიაზე.
- 2023 წლის ბოლოს და 2024 წლის დასაწყისში კომპანიამ შეუკვეთა 40 ახალი ელექტრო სადისტრიბუციო ავტომატქანა. კომპანია გეგმავს ახალი ავტომობილებით ძველი საწვავზე მომუშავე სადისტრიბუციო მანქანების ნაწილობრივ ჩანაცვლებას. აღნიშნული ჩანაცვლება მნიშვნელოვნად შეამცირებს კომპანიის საწვავის და ავტომობილების ექსპლუატაციის ხარჯებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და გულისხმობს მეთოდოლოგიის, მოდელისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია გამჟღავნებულია 22-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის განმარტება, მნიშვნელოვნად გაზრდილი საკრედიტო რისკი (SICR), ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელები.

კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა (“SICR”). იმისათვის, რომ განისაზღვროს რისკის ცვლილება, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის რისკს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარებისას დეფოლტის რისკს. შეფასება მოიცავს რისკის ფარდობით ზრდას და არა საკრედიტო რისკის კონკრეტული დონის მიღწევას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დასაბუთებად პერსპექტიულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, მათ შორის კონკრეტული მომხმარებლის პორტფელის ქცევის ასპექტებს. კომპანია საკრედიტო რისკის გაზრდის ქცევით ნიშნებს გამოავლენს გადახდისუუნარობის დადგომამდე და შესაფერის პერსპექტიულ ინფორმაციას ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შეფასებაში, ინდივიდუალური ინსტრუმენტის ან პორტფელის დონეზე.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან:

- **ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).**
- **შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**
- **გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**
- **ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).** ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რომლითაც კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია (და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა). შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითად ჩაითვლება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, თუ რა ინფორმაცია ჩაითვლება არსებითად საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ხდიდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გაურკვეველს. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ასევე შეიცვალა ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2- „არსებითობის განსჯის განხორციელება“, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

- **ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ).**
- **გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**
- **ბასს 12 „მოგების გადასახადები“ - შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი).**

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- **შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**
- **ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები**
- **(თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).**
- **ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);**
- **შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).**
- **ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი)**

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ურთიერთკავშირი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სკდს*	1,726	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	მშობელი კომპანია	18,842	-
საიჯარო ვალდებულებები	მშობელი კომპანია	513	-

შემოსავლებისა და დანახარჯები მუხლები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

ათასი ლარი	ურთიერთკავშირი	2023	2022
მარაგების შეძენა	მშობელი კომპანია	9,944	-
ამონაგები	სკდს	2,876	-
ამონაგები	მშობელი კომპანია	16	-
ფინანსური დანახარჯები	მშობელი კომპანია	(6)	-

(*) სკდს - საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები არიან კომპანიის დირექტორი და გენერალური მენეჯერი. უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება, მათ მიერ სრული განაკვეთით აღმასრულებელ ხელმძღვანელ პოზიციებზე გაწეული მომსახურებისთვის, შედგება ხელფასებისგან, ბონუსებისგან და სხვა, არაფულადი სარგებლისგან, ჯამში 245 ათასი ლარის ოდენობით (2022: 307 ათასი ლარი).

8 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	სადისტრიბუციო აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება 2022 წლის 1 იანვარს დაგროვილი ცვეთა	343 (234)	1,940 (674)	45 (33)	2,328 (941)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	109	1,266	12	1,387
შემოსვლა	69	688	5	762
გასვლა	-	(23)	-	(23)
ცვეთის ხარჯი	(57)	(238)	(6)	(301)
თვითღირებულება 2022 31 დეკემბერს დაგროვილი ცვეთა	412 (291)	2,605 (912)	50 (39)	3,067 (1,242)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	121	1,693	11	1,825
შემოსვლა	86	672	6	764
გასვლა	-	(39)	-	(39)
ცვეთის ხარჯი	(67)	(313)	(6)	(386)
ისტორიული ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს დაგროვილი ცვეთა	498 (358)	3,238 (1,225)	56 (45)	3,792 (1,628)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	140	2,013	11	2,164

9 აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სხვადასხვა სასაწყობო ფართი და ავტომობილები. ქირავნობის ხელშეკრულებები, როგორც წესი, შედგენილია ფიქსირებულ პერიოდების გამოყენებით 1-დან 10 წლამდე, თუმცა შესაძლებელია მათ ჰქონდეთ გაგრძელების შესაძლებლობა, ისე, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

ათასი ლარი	შენიშვნები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	241	602	843
ცვეთის ხარჯი	(121)	(39)	(160)
გასვლა	-	(563)	(563)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	120	-	120
დამატებები	451	-	451
ცვეთის ხარჯი	(114)	-	(114)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	457	-	457

საიჯარო ვალდებულებები:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულებები	105	154
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	408	-
სულ საიჯარო ვალდებულებები	513	154

2023 წლის ფინანსურ ხარჯებში შესული საპროცენტო დანახარჯი იყო 74 ათასი ლარი (2022: 39 ათასი ლარი);

გაგრძელების ოფციონი გათვალისწინებულია შენობების იჯარაში. გამოყენება საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალიზაციისთვის კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვის კუთხით. გაგრძელების ოფციონი მხოლოდ კომპანიის მიერ შეიძლება იყოს გამოყენებული და არა შესაბამისი მეიჯარის მიერ.

10 მარაგები

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გასაყიდად შემენილი საქონელი	3,187	1,847
სხვა	17	10
სულ მარაგები	3,204	1,857

ხარჯის სახით აღიარებული მარაგების თვითღირებულებამ (რაც ასახულია რეალიზებული საქონლის თვითღირებულებაში) 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგინა 136,249 ათასი ლარი (2022: 101,034 ათასი ლარი).

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნა	18,714	14,493
სხვა ფინანსური მოთხოვნა	48	41
შემცირებული საკრედიტო ზარალის რეზერვით	(2,610)	(2,106)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	16,152	12,428
გადახდილი ავანსი	46	311
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,198	12,739

ყველა სავაჭრო მოთხოვნა საკრედიტო ზარალის რეზერვის გათვალისწინებით დენომინირებულია ლარში.

2023 წლის სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

ბვ. წილი მთლიან ღირებულებაში % ათასი ლარი	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ფინ. ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნა				
- მიმდინარე	0%	1,289	-	1,289
- 30 დღეზე ვადაგადაცილებული	6%	598	34	564
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	11%	930	101	829
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	27%	498	135	363
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	45%	275	124	151
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	2,093	2,093	-
ინდივიდუალური შეფასება	1%	13,031	123	12,908
სულ		18,714	2,610	16,104

2022 წლის სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

ბვ. წილი მთლიან ღირებულებაში % ათასი ლარი	ზარალის განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ფინ. ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნა				
- მიმდინარე	0%	1,431	-	1,431
- 30 დღეზე ვადაგადაცილებული	6%	437	25	412
- 30 - 90 დღით ვადაგადაცილებული	12%	628	78	550
- 91 - 180 დღით ვადაგადაცილებული	32%	376	121	255
- 181 - 360 დღით ვადაგადაცილებული	44%	192	84	108
- 360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	1,587	1,587	-
ინდივიდუალური შეფასება	2%	9,842	211	9,631
სულ		14,493	2,106	12,387

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ახსნილია საკრედიტო ზარალის რეზერვის ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნისთვის გამარტივებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემთხვევაში, წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის:

ათასი ლარი	2023	2022
საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე 1 იანვრის მდგომარეობით	2,106	1,778
მიმდინარე წლის ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	504	328
საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,610	2,106

12 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული საღაროში	344	353
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	527	206
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	871	559

ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების კრედიტის ხარისხის შეჯამება შემდეგნაირად შეიძლება Fitch-ის რეიტინგის საფუძველზე.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული - BB ის რეიტინგის მქონე	527	206
სულ	527	206

13 საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბერს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 15,600 ათასი ლარით, შედეგად კომპანიის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 15,710 ათასი ლარი. საწესდებო კაპიტალის ზრდა განხორციელდა კომპანიის 100% წილის მფლობელის - სს ქართული ლუდის კომპანიის წინაშე არსებული სავაჭრო ვალდებულების 15,600 ათასი ლარით შემცირების გზით.

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულება	19,475	28,962
სულ ფინანსური ვალდებულებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	19,475	28,962
თანამშრომელთა დარიცხული ხელფასი	170	104
მიღებული ავანსები	180	139
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	19,825	29,205

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები დენომინირებულია ლარსა და აშშ დოლარში.

15 ცვლილებები ფინანსური ოპერაციებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების ანალიზი და ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მოძრაობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. ვალდებულებების ეს მუხლები ასახულია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში როგორც საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი		2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	
	იჯარის ვალდებულებები	სულ	იჯარის ვალდებულებები	სულ
ფინანსური აქტივობის ვალდებულებები 1 იანვრისთვის	154	154	449	449
ფულადი ნაკადები				
ძირი თანხის დაფარვა	(92)	(92)	(289)	(289)
პროცენტის გადახდები	(74)	(74)	(40)	(40)
არაფულადი ცვლილებები				
პროცენტის დარიცხვა	74	74	39	39
ახალი იჯარები	451	451	-	-
სავალუტო კორექტორებები	-	-	(5)	(5)
ფინანსური აქტივობის ვალდებულებები 31 დეკემბერს	513	513	154	154

16 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ათასი ლარი	2023	2022
ამონაგები პროდუქციის გაყიდვიდან	149,212	111,443
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	149,212	111,443

ამონაგები რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2023	2022
ქართლი (თბილისი, გორი, რუსთავი, მცხეთა, მარნეული)	99,793	72,392
იმერეთი	25,713	19,477
სამეგრელო	11,986	10,390
კახეთი	10,175	9,168
რაჭა	1,545	16
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	149,212	111,443

2023 წლის იანვრის თვიდან კომპანიის სადისტრიბუციო ქსელი გაფართოვდა და დაემატა მარნეულის ტერიტორია.

2022 წლის დეკემბრის თვიდან კომპანიის სადისტრიბუციო ქსელი გაფართოვდა და დაემატა მცხეთის და რაჭის ტერიტორია.

17 რეალიზებული საქონლის თვითღირებულებას

ათასი ლარი	2023	2022
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	136,248	101,034
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	136,248	101,034

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2023	2022
ქართლი (თბილისი, გორი, რუსთავი, მცხეთა, მარნეული)	91,124	65,630
იმერეთი	23,479	17,658
სამეგრელო	10,944	9,420
კახეთი	9,291	8,312
რაჭა	1,410	14
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	136,248	101,034

18 დისტრიბუციის დანახარჯები

ათასი ლარი	2023	2022
შრომის ანაზღაურება	7,584	5,395
საწვავი და ტრანსპორტირება	1,787	2,167
მოკლევადიანი იჯარის ხარჯები	904	576
სადისტრიბუციო მანქანების ექსპლუატაციის ხარჯი	680	462
ცვეთა და ამორტიზაცია	430	406
დაზღვევა	64	40
პროდუქციის დაცლის და დატვირთვის მომსახურება	33	139
სხვა	190	166
სულ დისტრიბუციის დანახარჯები	11,672	9,351

19 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ათასი ლარი	2023	2022
შრომის ანაზღაურება	578	552
პროფესიული მომსახურება	275	241
საოფისე ხარჯი	150	143
ცვეთა და ამორტიზაცია	65	59
კომუნიკაციის ხარჯი	24	18
სხვა	55	48
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	1,147	1,061

20 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სასამართლო სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით და შესაბამისად, ანარიცხი შექმნილი არ არის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება.

სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ განხილვისათვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების

20 გათვალისწინებული მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებულ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებული აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და საზრუნავი კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ის გაიცემა იმ ბაზრებზე, სადაც კომპანია ოპერირებს.

21 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემულ საბალანსო ღირებულებებში.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიის საქმიანობის ერთადერთი უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

ზღვრები. კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მსესხებელთან, მსესხებელთა ჯგუფთან ან გეოგრაფიულ და დარგობრივ სეგმენტებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. როგორც წესი, ხელმძღვანელობა ამტკიცებს პროდუქტებისა და სამრეწველო დარგების მიხედვით საკრედიტო რისკის ზღვრებს. მსგავსი რისკების მონიტორინგი რეგულარულ საფუძველზე ხორციელდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო ხშირ მიმოხილვას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ECL არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილობები). კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების ორ

21 ფინანსური რისკი მართვა (გაგრძელება)

მიდგომას - ინდივიდუალური შეფასება და კოლექტიური შეფასება. ინდივიდუალური შეფასების მიდგომა ხორციელდება ქსელური მომხმარებლებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ორივე, SICR-ის შეფასება და ECL-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანია გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიის მენეჯმენტის მიერ და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო სამ წელში. სამი წლის შემდეგ საშუალოს რევერსიის მეთოდი გამოიყენება, რომელიც გულისხმობს, რომ ეკონომიკური ცვლადები უბრუნდება გრძელვადიან საშუალოს (მაგ. უცხოური ვალუტის გაცვლისთვის) ან გრძელვადიან საშუალო ზრდის ტემპს (მაგ., მშპ).

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია. კომპანიის წინაშეა საკრედიტო რისკის კონცენტრაციის რისკი. ხელმძღვანელობა ახორციელებს პარტნიორების იმ აგრეგირებული ნაშთების მონიტორინგს, რომლებიც კომპანიის წმინდა აქტივების 10%-ს აღემატება. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს კომპანიას მსგავსი კონცენტრაციის ბალანსი არ გააჩნდა.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
- სავაჭრო მოთხოვნა	16,104	12,387
- სხვა ფინანსური მოთხოვნა	48	41
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		
- საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	527	206
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი	16,679	12,634

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ, მიმართებით. ამასთან, თითოეულ მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. კომპანიას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით არ გააჩნდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები. შესაბამისად, სავალუტო რისკი საანგარიშგებო პერიოდისთვის მინიმუმამდეა შემცირებული.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოსალოდნელ რისკებს. საპროცენტო მარჟა შეიძლება გაიზარდოს ასეთი ცვლილებების შედეგად, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი მოულოდნელი მოძრაობების წარმოქმნის შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურად აკონტროლებს და ადგენს ზღვრებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასების შეუსაბამობის დონეზე, რომელსაც, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს.

21 ფინანსური რისკი მართვა (გაგრძელება)

კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას ძირითადად მიღებული სესხების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების მეშვეობით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ გაცვლითი კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<i>ათასი ლარი</i>						
ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულებები	14	27	124	494	-	659
სავაჭრო ვალდებულებები	10,102	9,723	-	-	-	19,825
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	10,116	9,750	124	494	-	20,484

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<i>ათასი ლარი</i>						
ვალდებულებები						
საიჯარო ვალდებულებები	14	69	82	-	-	165
სავაჭრო ვალდებულებები	5,553	15,734	7,779	-	-	29,066
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები	5,567	15,803	7,861	-	-	29,231

22 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და

22 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

(iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები რეალური ღირებულების იერარქიაში მოიაზრება მე-2 და მე-3 დონის ინსტრუმენტებად. რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით.

ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია მხარის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

23 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზანია დაიცვას კომპანიის უნარი, განაგრძოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება მფლობელებისათვის, სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს მფლობელებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა ან დაუბრუნოს კაპიტალი. კომპანიის მიერ გამოუმუშავებული კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2,137 ათასი ლარი, (2022 წ. 31 დეკემბერი: (12,595) ათასი ლარი).

24 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ნასესხები სახსრები.

2024 წლის მარტის თვეში კომპანიამ TBC Bank-თან გააფორმა სასესხო ხელშეკრულება. სესხის თანხა შეადგენს 1,547 ათას ლარს, დაფარვის ვადას წარმოადგენს 2028 წლის მარტი და საპროცენტო განაკვეთია 6.3% + “Term SOFR”-ის 6 თვიანი განაკვეთი.

2024 წლის ივლისის თვეში კომპანიამ TBC Bank-თან გააფორმა სასესხო ხელშეკრულება. სესხის თანხა შეადგენს 1,607 ათას ლარს, დაფარვის ვადას წარმოადგენს 2028 წლის მაისი და საპროცენტო განაკვეთია 6.3% + “Term SOFR”-ის 6 თვიანი განაკვეთი.

2024 წლის 9 იანვარს კომპანიამ გაასხვისა საკუთრებაში არსებული შვილობილი საწარმო შპს „ზედაზენი ქართლის“ 100 % წილი.

შპს ზედაზენი 2012

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობითი ანგარიშგება - 2023 საქმიანობის მიმოხილვა

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

კომპანიის საქმიანობა და სამოქმედო ბაზარი

შპს „ზედაზენი 2012“ (შემდგომში „კომპანია“), 2012 წლიდან ფუნქციონირებს, რომლის ძირითად საქმიანობასაც წარმოადგენს სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ წარმოებული პროდუქციის (ლუდის, უალკოჰოლო და ენერგეტიკული სასმელების) დისტრიბუცია საქართველოში.

კომპანიას გააჩნია სადისტრიბუციო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო როგორც მატერიალური (შესაბამისი ავტოპარკი, საწყობები და ა.შ.) ისე არამატერიალური რესურსი (გამოცდილი მენეჯმენტი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები და ა.შ.). კომპანიის მომხმარებლებს წარმოადგენენ, როგორც საცალო, საბითუმო და ქსელური მაღაზიები, ასევე, ე.წ. „ჰორეკა“ (რესტორნების, კაფეებისა და სასტუმროს ტიპის ობიექტები). კომპანიის საქმიანობა მოიცავს სრულ ლოჯისტიკურ ჯაჭვს პროდუქციის მწარმოებლიდან მომხმარებლამდე.

სუბიექტის საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

- კომპანიის გაყიდვები მზარდი ხასიათისაა - 2023 წელს გაყიდვების მაჩვენებელი (ლუდის, ლიმონათის, გამაგრილებელი და ენერგეტიკული სასმელების) შეადგენს 149,2 მილიონ ლარს.
- 2023 წელს კომპანიის საოპერაციო საქმიანობის არეალი გაფართოვდა და კომპანიამ პროდუქციის მიწოდება დაიწყო მარნეულის ტერიტორიაზე.
- კომპანიამ 2023 წელის განმავლობაში შეძლო საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაცია, რაც მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

კომპანიის ფილიალების საქმიანობა

კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს ფილიალების გარეშე, თუმცა სადისტრიბუციო ქსელი თბილისის გარდა წარმოდგენილია რეგიონებშიც (სამეგრელო, კახეთი, იმერეთი, შიდა და ქვემო ქართლი, რაჭა, მცხეთა-მთიანეთი).

კვლევისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

2023 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ არ მომხდარა ინოვაციური ღონისძიებების დანერგვა, რომელიც ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარებას ან გაუმჯობესებას უკავშირდება.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

კომპანია აფასებს საკუთარ შედეგებს შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით:

1. ამონაგების ზრდა - მიღებული ამონაგები 2023 წელს შეადგენდა 149,212 ათას ლარს. 2022 წლის მონაცემი შეადგენდა 111,443 ათას ლარს. შედეგად 2022 წლის ამონაგები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 33,9 პროცენტით.
2. საერთო მოგების მარჟა - 2023 წლისთვის საერთო მოგების მარჟა იყო 8.69%. (2022 წლის მარჟა - 9.34%)
3. მომგებიანობა - კომპანიას 2023 წელს ჰქონდა საოპერაციო ზარალი 793 ათასი ლარის ოდენობით. (2022 წლის საოპერაციო ზარალი -246)
4. საოპერაციო ფულადი ნაკადების შემცირება - საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები 2023 წელს შეადგენდა 1,153 ათას ლარს. 2022 წლის მონაცემი შეადგენდა 749 ათას ლარს.

მნიშვნელოვან ფინანსურ მაჩვენებლებში არსებული მომხდარი ცვლილებების ახსნა-განმარტებები იხილეთ „სუბიექტის საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები“-ს ნაწილში.

არაფინანსური მაჩვენებლები

საკადრო პოლიტიკა და პერსონალის მართვა

ადამიანური რესურსების მართვის სფეროში კომპანიის პრიორიტეტს წარმოადგენს ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა/დახვეწა, თანამშრომელთა შრომის და სოციალური დაცვის გაუმჯობესება და შრომის ეფექტურობის ზრდა. კომპანიის საკადრო პოლიტიკა ორიენტირებულია არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მათთვის შესაფერისი სოციალური და უსაფრთხო შრომითი პირობების შექმნაზე. კომპანიაში 2023 წელში დასაქმებული იყო 413 თანამშრომელი.

კომპანიის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაზღვევით. ასევე, დაზღვეულია ყველა სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენება დისტრიბუციის განსახორციელებლად კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ურთიერთობები მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან

კომპანიამ ჩამოაყალიბა მყარი პროფესიონალური ურთიერთობები მომხმარებლებთან, რაც გამოიხატა ერთჯერადი მომხმარებლის მუდმივ მომხმარებლად გადაქცევაში და მობრუნებული საქონლისა და უკმაყოფილო მომხმარებლების შემცირებულ რაოდენობაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპანიის მომწოდებელს წარმოადგენს სს ქართული ლუდის კომპანია, რომლისთვისაც შპს ზედაზენი 2012 სანდო პარტნიორად მიიჩნევა.

კომპანიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს როგორც საგადასახადო ასევე საკანონმდებლო რეგულაციების პირნათლად შესრულება. შესაბამისად, კომპანიის ბუღალტრული დეპარტამენტი ჩამოყალიბებულია მაღალკვალიფიციური თანამშრომლებისგან, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან შესაბამის ტრენინგებს და განიხილავენ საკანონმდებლო ცვლილებებს. ასევე, მონიტორინგის მიზნებისათვის მოწვეული ჰყავს გარე საგადასახადო კონსულტანტი.

ინფორმაცია საწესდებო კაპიტალის ცვლილების შესახებ

2023 წლის 31 დეკემბერს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 15,600 ათასი ლარით, შედეგად კომპანიის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 15,710 ათასი ლარი. საწესდებო კაპიტალის ზრდა განხორციელდა კომპანიის 100% წილის მფლობელის - სს ქართული ლუდის კომპანიის წინაშე არსებული სავაჭრო ვალდებულების 15,600 ათასი ლარით შემცირების გზით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანიას მრავალრიცხოვანი მომხმარებელი ყავს, რომლებიც სხვადასხვა განვითარების საფეხურზე არიან, კომპანიის ზომის და მომგებიანობის მიხედვით. ბაზარზე არსებულმა სირთულეებმა შესაძლოა პრობლემა შეუქმნას ამ ობიექტების გადახდისუნარიანობას ან ოპერირებას. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია მხოლოდ სასმელების დისტრიბუციის ბიზნესში ოპერირებს, მასზე მოქმედებს ყველა ის ფაქტორი, რაც მის გაყიდვების არხებზე ახდენს გავლენას. კომპანიას გააჩნია კარგად ჩამოყალიბებული საკრედიტო რისკი მართვის პროცესები და რეგულარულად ახდენს ვადაგადაცილებებზე სათანადო რეაგირებას.

ბაზარზე კომპანიის მომხმარებლებისთვის შექმნილი სირთულეები სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული:

გარე ეკონომიკური ფაქტორები - ქვეყანაში არსებული უარყოფითი სავაჭრო ბალანსის გამო სავაჭრო ობიექტების ძირითად გასაყიდ პროდუქციას წარმოადგენს იმპორტული საქონელი. შედეგად, გარე ბაზრებზე ცვლილებები, როგორიცაა, ფასების ზრდა, შეზღუდვები საგარეო ვაჭრობაზე, შესაძლოა უარყოფითად აისახოს სავაჭრო ობიექტებზე.

საკანონმდებლო ცვლილებები - სავაჭრო ობიექტების საქმიანობის რეგულირებაზე გავლენა შეიძლება მოახდინოს საკანონმდებლო ცვლილებებმა.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკების მინიმიზაციისთვის კომპანია მუდმივად ახდენს რისკების მონიტორინგს, რათა შეინარჩუნოს სავაჭრო მოთხოვნების ჯანსაღი მდგომარეობა. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, მომხმარებლებზე საკრედიტო ლიმიტების დაწესებას, კონტრაგენტის დიდი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. (სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. (სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში მოხდება ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლის მსყიდველობითი უნარის შემცირება, რაც გავლენას მოახდენს კომპანიის ამონაგებზე. კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი ნაწილი ნომინირებულია ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - განისაზღვრება, როგორც საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოსალოდნელი გავლენა. კომპანიას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სესხი, შესაბამისად არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ლ. მეფარიშვილი

საკანონმდებლო ცვლილებები - სავაჭრო ობიექტების საქმიანობის რეგულირებაზე გავლენა შეიძლება მოახდინოს საკანონმდებლო ცვლილებებმა.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკების მინიმიზაციისთვის კომპანია მუდმივად ახდენს რისკების მონიტორინგს, რათა შეინარჩუნოს სავაჭრო მოთხოვნების ჯანსაღი მდგომარეობა. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, მომხმარებლებზე საკრედიტო ღირებულების დაწესებას, კონტრაგენტის დიდი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. (სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის მენეჯმენტი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვალიანობის ანალიზის მიხედვით, განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია. (სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

სავალუტო რისკი - ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში მოხდება ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლის მსყიდველობითი უნარის შემცირება, რაც გავლენას მოახდენს კომპანიის ამონაგებზე. კომპანიას არ გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი ნაწილი ნომინირებულია ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - განისაზღვრება, როგორც საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შედეგად მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე მოსალოდნელი გავლენა. კომპანიას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს სესხი, შესაბამისად არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 14 აგვისტოს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ლ. მეფარიშვილი